დანართი დამტკიცებულია
შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი
გენერალური დირექტორის
2023 წლის ..... ბრძანებით

მშობელთა ასოციაციის დებულება

შპს.ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-

-2023-

ზოგადი დებულება

სკოლის წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელი წინაპირობაა მჭიდრო თანამშრომლობა საზოგადოებასა და მშობლებთან. ამ მიზნით, სკოლაში შექმნილია მშობელთა ასოციაცია. მშობლის ჩართვა ბავშვის განათლების

პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეს წარმატებების მიღწევაში (მოსწავლეს აქვს უფრო მაღალი აკადემიური შეფასებები, საგამოცდო შედეგები, რეიტინგული ქულები, დასწრების მაჩვენებელი,
მშობლების ჩართვა სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეებს დადებითად განაწყობს სკოლის მიმართ; უძლიერებს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენის მოტივაციას, გამოირჩევიან ჯანსაღი ურთიერთობებით (როგორც მასწავლებლებთან, ასევე თანატოლებთან

სკოლის მართვაში ჩაბმული მშობელი უფრო გულისყურით ეკიდება ბავშვის სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს.კოლის მართვაში ჩაბმული მშობლები შვილებს საშუალებას აძლევენ თამამად გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და პრობლემები. ისინი უფრო პოზიტიურ ურთიერთობებს ამყარებენ თავიანთი შვილების მასწავლებლებთან, ერთად განიხილავენ პრობლემებს, სრულყოფილად ფლობენ ინფორმაციას ბავშვების მდგომარეობის შესახებ და დროულად იღებენ ზომებს მათი პრობლემების მოსაგვარებლად.
მშობელთა ასოციაციის ძირითადი მიზანი არის სკოლისა და ოჯახს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, თანამშრომლობა და ინფორმაციის გავრცელება, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა განათლებასა და სკოლის მისიის შესრულებას.

მშობელთა ასოციაციის წევრების უფლება-მოვალეობები:

1. ეცნობა სკოლის წესდებას,შინაგანაწესს,სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას.
2. ეცნობიან სასკოლო პროგრამებს და შეფასების კრიტერიუმებს..
3. ასოციაციის წევრები ერთად გეგმავენ წლის სამოქმედო გეგმას.(საფეხურების მიხედვით)
4. ზედამხედველობას/მონიტორინგს უწევენ სკოლის მიერ დასახული მიზნების განხორციელების პროცესს;
5. ესწრებიან შეძლებისდაგვარად მეტ სასკოლო ღონისძიებას თუ პროექტს.
6. ხელს უწყობს სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გავრცელებას .
7. ერთად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.
8. შემოოაქვს ინიციატივები და იდეები სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების მიზით
9. ერთად განიხილავენ პრობლემებს და ეძებენ გადაჭრის გზებს.
10. ესწრება გაკვეთილებს(შეთანხმების შემთხვევაში)
11. თვეში ერთხელ ესწრება მშობელთა ასოციაციის შეხვედრას.(საჭოროების შემთხვევაში შესაძლებელია თვეში ორჯერ)
12. თანამშრომლობენ სკოლის პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან.
ეს დებულება წარმოადგენს მშობელთა ასოციაციის ძირითადი პრინციპებისა და პროცესების განმარტებას, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლასა და მშობლებთან მჭიდრო და ეფექტიან თანამშრომლობას.